ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 43-70

"16" აგვისტო 2024 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურისა და ვადების განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:**

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურისა და ვადების განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-74 დადგენილებაში (ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 23/12/2014წ., სარეგისტრაციო კოდი: 300320000.35.101.016062) და დადგენილებით დამტკიცებულის წესიდან ამოღებული იქნეს მე-5 და მე-6 მუხლები.

მუხლი 2

1. ამ დადგენილების ამოქმედების დროისათვის, იმ შემთხვევაში თუ ამავე დადგენილების პირველი მუხლით ამოღებული მუხლების შესაბამისად გადახდილი საფასურების საფუძველზე განმცხადებელს არ აქვს შესაბამისი მომსახურება მიღებული, მათი მომსახურება უკვე გადახდილი საფასურის ფარგლებში განახორციელოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემების მომზადების ან/და შეთანხმების სამსახურმა.

2. ამ დადგენილების ამოქმედებამდე, ამავე დადგენილების პირველი მუხლით ამოღებული მუხლების შესაბამისად გადახდილი საფასურების დაბრუნების თაობაზე

ზემდგომი ორგანოს/სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულება განხორციელდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე